



4041 KALEKİM İNCE SIVA

აღწერა

სპეციალური დანამატებით გაუმჯობესებული ფინიშური ბათქაშის ნარევი ცემენტის ფუძეზე, განკუთვნილი ხელითა და მანქანით მუშაობისთვის.

გამოყენების სფეროები

- შიდა და გარე სამუშაოებისთვის, გლუვი ზედაპირის მისაღებად, საღებავისდატანამდე, კერამიკული მოპირკეთებასა და იზოლაციამდე.
- დაიტანება ცემენტის უხეშ ბათქაშზე, ბეტონსა და მოსაპირკეთებელ ბეტონზე.
- გამოიყენება აგურებისთვის, ბიძისთვის, კედლებსა და ჭერებისთვის.

თავისებურებები

- გააჩნია ადჰეზიის მაღალი დონე
- წარმოქმნის გლუვ და მყარ ზედაპირს
- მედეგია გაყინვა-დნობის ციკლების მიმართ
- შეიძლება დატანა სისქით 3-10 მმ
- მისი გამოყენება ადვილია

ზედაპირის მომზადება

- ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და მყარი
- დასამუშავებელი ზედაპირი უნდა გაწმინდოს მტვერის, ტალახის, ზეთის, ხენჯის, საღებავის და მსგავსი ნივთიერებებისგან, რომლებიც ხელს უშლიან ადჰეზიას.
- ზედაპირიდან უნდა მოაცილოთ გაზარული ბათქაში, სუსტი ნაწილები, საყრდენი უნარის არმქონე ქვედა შრეები, დულაბისა და ცემენტის ნარჩენები.
- ზედაპირზე არსებული მოწყვეტილი ნაწილები, დაზიანებები და ბზარები უნდა გამოსწორდეს Tamiart სერიის პროდუქციის მეშვეობით.
- დატანამდე დაატენიანეთ ზედაპირი, ან დაამუშავეთ საგრუნტავით KalekimAstar.
- დაუცველ ბეტონზე დატანამდე აუცილებლად გამოიყენეთ B-tone.

გამოყენების ინსტრუქცია

- თანდათანობით ჩაყარეთ 25 კგ INCE SIVA 5,5-6 ლიტრ წყალში და აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე დაბალ ბრუნვებზე მიქსერის მეშვეობით. დაუშვებელია ნებისმიერი ნივთიერების დამატება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ინსტრუქციით
- დატოვეთ მომზადებული დულაბი 5-10 წუთით. გამოყენებამდე ხელმეორედ აურიეთ 1-2 წუთის განმავლობაში.
- მომზადებული დულაბი INCE SIVA დაატანეთ ზედაპირს ლითონის ქაფჩის მეშვეობით, 10 მმ-ზე ნაკლების სისქის ფენად. მეტი სისქისთვის საჭიროა დაელოდოთ მინიმუმ 1 დღე.
- ზედაპირისთვის საბოლოო იერსახის მისაცემად გააპრიალეთ ის ნესტიანი ღრუბლით.



4041 KALEKİM İNCE SIVA

მოვლა და რეკომენდაციები გამოყენების შემდეგ

- დატანის შემდეგ, გაშრობის პროცესში, საჭიროებისამებრ დაატენიანეთ ზედაპირი დროის გარკვეულ ინტერვალებში.
- პირველი ფენის სრულ გაშრობამდე დაუშვებელია სხვა პროდუქტის გამოყენება.
- გადაადგეთ დუღაბი გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ ან ქერქის წარმოქმნის შემთხვევაში. მაღალმა ტემპერატურამ, ტენიანობის დაბალმა დონემ, ქარმა და მსგავსმა ბუნებრივმა პირობებმა შეიძლება შეამცირონ მითითებული გამოყენების ვადა.
- მუშაობის დასრულების შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები და გარეცხეთ ინსტრუმენტები წყლით.
- ინფორმაცია ხარჯის შესახებ წარმოადგენს ზოგად ინფორმაციას. ხარჯი დამოკიდებულია გამოყენების პირობებსა და ზედაპირის თავისებურებებზე.
- პროდუქტი ცემენტის ფუძეზეა, ამიტომ არ შეისუნთქოთ მტვერი, მოერიდეთ თვალებში და კანზე მოხვედრას. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების ფორმა.

გაფრთხილებები

- არ შეისუნთქოთ მტვერი, მოერიდეთ თვალებში და კანზე მოხვედრას. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ტექნიკური მონაცემების ფორმა.
- მითითებული ხარჯი მოცემულია ინფორმაციისთვის. ხარჯი დამოკიდებულია გამოყენების პირობებსა და ზედაპირის თავისებურებებზე.

შენახვა

- შეინახეთ ტემპერატურაზე +5-30°C მშრალ, სუფთა ადგილას, რომელიც დაცული იქნება ტენიანობისა და მზის პირდაპირი სხივებისგან.
- დაიცავით წყლის, ყინვისა და მძიმე ბუნებრივი პირობებისგან.
- ქვესადგამების დაწყობა შეიძლება მაქსიმუმ სამ ფენად.
- აღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, შენახვის მაქსიმალური ვადა შეადგენ 12 თვეს.

ხარისხის სერტიფიკატები



გამოყენებისთვის მზა საერთო დანიშნულების ფინიშური ბათქაში, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს EN 998-1.



4041 KALEKİM İNCE SIVA

ტექნიკური მახასიათებლები

(+23°C და 50% ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

იერსახე	თეთრი ან ნაცრისფერი ფხვნილი
ვარგისიანობის ვადა	გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას 24 თვე

ინფორმაცია გამოყენების შესახებ

ექსპლუატაციის ტემპერატურა	(+5°C) – (+35°C)
ნარევის პროპორციები	5,5 – 6,0 ლ წყალი / 25 კგ ფხვნილი
გამოყენების ვადა	დაახლ. 4 სთ
დატანის სისქე	3-10 მმ (ერთ ფენად)
ხარჯი	1,50 კგ/მ ² (1 მმ სისქისთვის)

ინფორმაცია საექსპლუატაციო მახასიათებლების შესახებ

მშრალი ნაყარი სიმკვრივე (EN 1015-10)	1500±100 კგ/მ ²
გამკვრივებელი დუღაბის შეკუმშვის სიმკვრივე (EN 1015-11)	CS IV ≥ 6 ნ/მმ ²
სიმკვრივე გაგლეჯაზე (EN 1015-12)	≥0,4 ნ/მმ ²
გამყარებული დუღაბის წყლის აბსორბციის კოეფიციენტი კაპილარული ზემოქმედების შემდეგ (EN 1015-18)	≤ 0,40 კგ/მ ² წთ ⁰⁵ /W1
წყლის ორთქლის გამტარობის კოეფიციენტი	≤ 15 μ
დამუშავების დრო (EN 1015-9)	≥ 120 წთ
თბომედეგობა	(-30°C) – (+80°C)
სახიფათო ნივთიერებები	იხილეთ ტექნიკური მონაცემების ფორმა
ცეცხლის ზემოქმედებაზე რეაქცია (EN 13801-1)	A1